

ორგანული ნარჩენების მართვა და კომპოსტირება

გზამკვლევი

გარემოსდაცვითი
პროექტი „ნარჩენების
მდგრადი მართვისა
და გადამუშავების
პრაქტიკის ხელშეწყობა
რაჭა-ლეჩხუმისა
და ქვემო სვანეთის
რეგიონში“



რა არის კომპოსტი

კომპოსტი არის საუკეთესო ორგანული სასუქი, მდიდარი სხვადასხვა ორგანული და მინერალური ნივთიერებებით, რომელიც შეიცავს მცენარეების ზრდა-განვითარებისთვის ყველა საჭირო ნივთიერებას.



კომპოსტირების ძირითადი უპირატესობები

- ✓ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა
- ✓ ნიადაგის გამდიდრება ორგანული და მინერალური ნივთიერებებით
- ✓ ნიადაგის ტენიანობის გაუმჯობესება
- ✓ ნიადაგის ეროზიისგან დაცვა
- ✓ მავნებლების და დაავადებების გაჩენის რისკის შემცირება
- ✓ მორწყვის საჭიროების 60%-ით შემცირება
- ✓ მოსავლიანობის ზრდა
- ✓ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება
- ✓ გარემოს დაბინძურების შემცირება
- ✓ ფინანსების დაზოგვა



რისგან კეთდება კომპოსტი



- ✓ ბალახი/სარეველა
- ✓ გამხმარი ყვავილები
- ✓ ფოთლები
- ✓ ტოტები
- ✓ ნახერხი
- ✓ ჩალა
- ✓ სამზარეულოს ნარჩენი (ბოსტნეული/ხილის ქერქი/ნაჭრები/ჩაის და ყავის ნალექი)
- ✓ საქონლის დამწვარი ნაკელი
- ✓ კვერცხის ნაჭუჭი (თუმცა მის დაშლას შედარებით მეტი დრო დასჭირდება)

რისგან **არ** კეთდება კომპოსტი



- ✗ დაავადებით ან მავნებლით დაავადებული მცენარეები
- ✗ ციტრუსის ნარჩენები (ციტრუსის ქერქის დიდმა რაოდენობამ შეიძლება გაზარდოს ნიადაგის მჟავიანობა)
- ✗ რძის პროდუქტები, ხორცი, ცხიმი, ძვლები, ზეთი, შინაური ცხოველების ან ზღვის პროდუქტების ნარჩენები

რა გვჭირდება კომპოსტის გასაკეთებლად

- ✓ კომპოსტის ყუთი (დამზადებული ფიცრებით, მოწნული ტოტებით, ბადით)
- ✓ ბაღის მავრატელი ტოტების დასაქუცმაცებლად
- ✓ სამკაპი საკომპოსტე მასალის ამოსატრიალებლად
- ✓ ბარი კომპოსტის ჩასატვირთად
- ✓ ურიკა ნარჩენების და კომპოსტის გადასაზიდად
- ✓ ფოცხი კომპოსტის გასაშლელად
- ✓ საცერი მწიფე და ნედლი კომპოსტის განსაცალკევებლად



ძირითადი წესები კომპოსტის მომზადებისას


კომპოსტის ყუთის მოწყობა

- + სასურველია ყუთი განათავსოთ ბაღის ან ბოსტნის დაჩრდილულ ადგილზე, (მაგ: ხის ქვეშ, ღობესთან).
- + სასურველია კომპოსტს დაახუროთ თავსახური.
- + საკომპოსტე ყუთისთვის საჭიროა შესაფერისი ადგილის შერჩევა, რათა ხანგრძლივი წვიმის დროსაც ადვილად მისადგომი იყოს.
- + საკომპოსტე ნედლეული უნდა ეხებოდეს ნიადაგს, რათა ხელი შეეწყოს კომპოსტის მასის დაშლას.
- + საკომპოსტე ყუთის გარშემო უნდა იყოს სამუშაო სივრცე, რომ ადვილად მოხდეს ინსტრუმენტების საშუალებით მისი დამუშავება.



კომპოსტირება და მასალის შერევა

გამოიყენეთ რაც შეიძლება წვრილი, დაქუცმაცებული მასალა და კარგად შეურიეთ ერთმანეთს, არ განათავსოთ ფენებად.



კომპოსტის ჟანგბადით უზრუნველყოფა

იმისათვის, რომ მასალას არ ჰქონდეს სუნი, კომპოსტირების ყუთს უნდა ჰქონდეს საკმარისი რაოდენობის ხვრელები და მასში მოთავსებული მასალა წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ უნდა ავუროთ.



კომპოსტის ტენიანობა

- ! ხშირად შეამოწმეთ ტენიანობა! ხელის მოჭერის შემთხვევაში, შერეული მასალიდან მაქსიმუმ 2-3 წვეთი წყალი უნდა გამოვიდეს. მუჭის გაშლის შემდეგ მასალა არ უნდა დაიშალოს და შეკრული დარჩეს.
- ! საჭიროების შემთხვევაში, კომპოსტი უნდა დატენიანდეს ან დაემატოს მშრალი მასალა. შევიძლიათ მასალას მცირე რაოდენობის მიწა შეურიოთ. მიწის მასა არ უნდა აღემატებოდეს საკომპოსტე მასალის 10%-ს. დატენიანების დროს მთლიანი მასალა კარგად აურიეთ, რათა ტენი მთლიან მასალაში გადანაწილდეს.

მომწიფებელი კომპოსტი



- ✦ მწიფე კომპოსტს აქვს ტყის მსგავსი მიწის შეფერილობა და სუნი.
- ✦ მცენარეთა უმეტესობისთვის 1 სმ სისქის კომპოსტი საკმარისია, რომ ნიადაგი გამდიდრდეს საჭირო რაოდენობის საკვები ნივთიერებებით.
- ✦ 1 კვადრატულ მეტრ ფართობზე საჭიროა დაახლოებით 10კგ კომპოსტის გამოყენება.

წესების დაცვის შემთხვევაში, კომპოსტის დამწიფებას 3-დან 6 თვემდე დასჭირდება, სხვა შემთხვევაში კომპოსტირების პროცესი, შესაძლოა, 2 წლამდეც გაგრძელდეს.

! გაითვალისწინეთ, რომ კომპოსტის გამოყენება არ არის რეკომენდებული მჟავა ნიადაგის მოყვარული მცენარეებისთვის, რადგან კომპოსტი მჟავა-ნიეტრალური მასალაა.

პრაქტიკული გაკვეთილი კომპოსტის მომზადებისთვის იხილეთ აქ:





ჩვენთვის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

📍 თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ., N 8,
კორპუსი N 4, ბინა N 24

☎ (+995) 032 222 02 14

✉ ccrg@caritas.cz

🌐 georgia.charita.cz

📘 www.facebook.com/CCRGeorgia2015